**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის**

**სხდომის ოქმი N 36**

18 თებერვალი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

14:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, ბ. დავითულიანი, გ. გოცირიძე, ვ. ძნელაძე, ე. კუხიანიძე, მ. დარჩია.

**მოწვეული სტუმრები:**

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ცირა შალოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. სოფო უგრეხელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
5. გოგი ჩიქოვანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200378-03; 06.02.2020).
   **მომხსენებელი:** ბატონი გაიოზ თალაკვაძე
   **თანამდებობა:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200483-03; 17.02.2020).

**მომხსენებელი:** ქალბატონი მაკა ნასრაშვილი

**თანამდებობა:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისია დიდი ხანია მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების გაუმჯობესება და თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების ახალი წესის მიღების საკითხზე. შესაბამისად, თხოვნით მიმართა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის წარმოდგენისას, აქცენტი გაეკეთებინა კულტურის ობიექტების თანამშრომლების ხელფასების ზრდაზე.

1. ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილება განპირობებულია გარდამავალი ნაშთის ასახვის საჭიროებით, საერთო ჯამში კი იზრდება 217 580 000 ლარით იზრდება და 1 238 980 000 ლარს შეადგენს. ბატონი გაიოზის თქმით, თბილისის მერია ბიუჯეტის გარდამავალი ნაშთიდან იტოვებს 2 200 000 ლარს, რადგან ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, მერია ვალდებულია 2020 წლის 1 მარტიდან შექმნას ბავშვზე ზრუნვის და ოჯახური ძალადობის პრევენციის ორგანო, რომელიც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც დაფუძნდება.

ბატონი გაიოზის ინფორმაციით, თბილისის 2020 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები ძირითადად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზეა ორიენტირებული; ასევე ემატება ახალი პროგრამა – გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05), რისთვისაც 2 676,5 ათასი ლარი იქნება გათვალისწინებული, ხოლო აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) იზრდება 700 000 ლარით. პროგრამის ფარგლებში თბილისში 230 ბავშვია აღრიცხული და მიმდინარე წლის 1 მარტიდან ყველა მათგანი მიიღებს შესაბამის მომსახურებას.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ მოხსენება გააგრძელა დედაქალაქის ბიუჯეტში განათლებისა და კულტურის სფეროს განვითარებისთვის შესატან ცვლილებებზე. ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, კულტურის ობიექტების თანამშრომელთა ანაზღაურება იზრდება თითოეულზე 100 ლარით. მათ შორის, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების

განვითარების ხელშეწყობა სულ (კოდი 07 03 03) იზრდება 426,0 ათასი ლარით, საიდანაც 126 000 ლარი გათვალისწინებული იქნება შრომის ანაზღაურებისთვის, ხოლო - 300 000 ლარი მზიურის ტერიტორიაზე ახალი მედიათეკისთვის განთავსებისთვის.

ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტებში შრომის ანაზღაურების ზრდის მიზნით ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილებით იზრდება ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (კოდი 08 01 01) - 69,3 ათასი ლარით; პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) - 40,7 ათასი ლარით; თეატრი "გლობუსი" (კოდი 08 01 05) - 30,8 ათასი ლარით; სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) - 97,9 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) - 91,3 ათასი ლარით; საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (კოდი 08 04 01) - 50,6 ათასი ლარით, ხოლო ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა (კოდი 08 04 03) იზრდება 6,6 ათასი ლარით ახალ პანთეონში, მახათას მთაზე, დარაჯის შტატის დამატებისა და შესაბამისი შრომის ანაზღაურებისთვის.

ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) იზრდება 150,0 ათასი ლარით მოქალაქეთა მხრიდან მაღალი მომართვის დაკმაყოფილებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე; ასევე 1 850,0 ათასი ლარით იზრდება კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) ხელოვნების სკოლების რემონტისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მონტაჟისთვის და თოჯინების მუზეუმის და თეატრების „პანტომიმისა“ და „გლობუსის“ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო შესყიდვისთვის, ხოლო ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის აღჭურვისთვის - 250 000 ლარი.

კომისიის წევრმა ქალბატონმა მარიკა დარჩიამ დააზუსტა, რომ საკითხი ეხებოდა თოჯინების მუზეუმის შენობას, რასთან დაკავშირებითაც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ თოჯინების მუზეუმის შენობის საკითხის გადაჭრისთვის აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, ხოლო აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იქნება შესაბამისი შენობის სარემონტო სამუშაოების პროექტის შესყიდვისთვის.

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:**
თამარ ტალიაშვილმა, გაიოზ თალაკვაძემ, მარიკა დარჩიამ, მაკა ნასრაშვილმა.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.**

| | |
|---|---|
| მომხრე _____ | 7 |
| წინააღმდეგი _____ | 0 |
| თავი შეიკავა _____ | 0 |

გადაწყვიტეს (ერთხმად): კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების **პროექტს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.**

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ განსახილველი პროექტის შემუშავების მიზანს ერთი მხრივ, თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების ასახვა, ხოლო მეორე მხრივ, მოქმედი დადგენილების პრაქტიკაში გამოვლენილი საკითხების ასახვა წარმოადგენდა. ამასთან, დეპუტატის თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე მუშაობისას საჯაროობისა და გამჭვირვალობის მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისიამ სამუშაო შეხვედრა გამართა 31 იანვარს, რომელშიც არქიტექტორები და დარგის ექსპერტებიც იყვნენ ჩართულები და აღნიშნა, რომ განსახილველი პროექტი მოიცავს მათ წინადადებებსა და შენიშვნებს.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის განმარტებით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წინადადების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა „კულტურის შესახებ" საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც გაჩნდა ახალი ტერმინი - „არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია", რათა ტერმინს მოეცვა საჯარო ხელოვნების ნიმუშები, ე.წ. Public Art-ები, რომლებიც კარგად აპრობირებულია ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ქალბატონი მაკას თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივი სივრცის განმარტებას, ასევე, დაზუსტდა მემორიალური დაფის განთავსებისთვის საჭირო კრიტერიუმებში.

**დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:**
თამარ ტალიაშვილმა, მაკა ნასრაშვილმა,

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.**

| | |
|---|---|
| მომხრე _____ | 7 |
| წინააღმდეგი _____ | 0 |
| თავი შეიკავა _____ | 0 |

გადაწყვიტეს (ერთხმად): განათლებისა და კულტურის კომისიას არ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მას და მხარს უჭერს მის გატანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი